ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №20

27.07.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. **გოჩა თევდორაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. **ირაკლი ნადირაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. **თამარ ტალიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. **შალვა ოგბაიძე** - - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. **ილია ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. **ლევან არველაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. **ლევან დარახველიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **მაია ბითაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. **რუსუდან მირზიკაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;

3. **ეკატერინე ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. **მამუკა მუმლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
5. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის, ტრანსპორტის, ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიების (სულ: 4 კომისიის) ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (დამატებითი შესწავლისთვის გადადებული: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 3 ივლისის №12-031818443-03 წერილის 1-ლი წინადადება და 2018 წლის 9 ივლისის №12-031819053-03 წერილის მე-5 წინადადება) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

2. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 27 ივლისის №12-0318207109-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ, მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (დამატებითი შესწავლისთვის გადადებული: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 3 ივლისის №12-031818443-03 წერილის 1-ლი წინადადება და 2018 წლის 9 ივლისის №12-031819053-03 წერილის მე-5 წინადადება)

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2018 წლის 10 ივლისის სხდომაზე (ოქმი №18) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე გადადებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 3 ივლისის №12-031818443-03 წერილის 1-ლი წინადადება (**AR1578904**) და 2018 წლის 9 ივლისის №12-031819053-03 წერილის მე-5 წინადადება (**№01181062372-67**).

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 3 ივლისის №12-031818443-03 წერილის 1-ლი წინადადება - **ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.053) 123 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (AR1578904).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტებით, დაინტერესებულ მხარეს მოთხოვნილი ჰქონდა **№01.18.03.018.053** საკადასტრო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ №01.18.03.018.055 მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით. საკითხის

შესწავლისას, ურბანული განვითარების სამსახურმა მიზანშეუწონლად მიიჩნია №01.18.03.018.055 მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება და განმცხადებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა მხოლოდ მის საკუთრებაში არსებულ №01.18.03.018.053 საკადასტრო ერთეულზე ფუნქციური ზონის ცვლილების სახით. წარმოდგენილი ცვლილება გამოწვეულია საკადასტრო ერთეულზე სასტუმროს დამხმარე სათავსოების განთავსების მიზნით.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის ერთმა წევრმა.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 9 ივლისის №12-031819053-03 წერილის მე-5 წინადადება - **ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი: 2 229 კვ.მ.) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების შესახებ (№01181062372-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტებით, **№01181062372-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი 2 229 კვ.მ.) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5). საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონაში. გამომდინარე იქიდან, რომ საცხოვრებელ ზონა 5-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის არსებული საზღვრის ცვლილება გამოიწვევს განაშენიანების ინტენსივობის ზრდას, ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი 2 229 კვ.მ.) ნაწილზე მხოლოდ საკადასტრო საზღვრებში გავრცელებულ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილებაა მისაღები.

ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ კომისიის სხდომაზე დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის რ. მირზიკაშვილის 2018 წლის 12 ივლისის №67-01181933266 წერილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 5 ივლისის №18.514.808 განკარგულების „ე" ქვეპუნქტში და დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ე“ქვეპუნქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის ერთმა წევრმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის **2018 წლის 7 ივლისის №12-031818443-03 წერილით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №18.463.755 განკარგულების საფუძველზე განსახილველად წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.053) 123 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების საკითხის (AR1578904)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

2. **მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის **2018 წლის 9 ივლისის №12-031819057-03 წერილით** განსახილველად წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5-ით) წარმოდგენილი **ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი: 2 229 კვ.მ.) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1)**

საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხის (№01181062372-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 27 ივლისის №12-0318207109-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - **№011812525-67; №01181662770-67; №10/01181903928-67; №10/01181903928-67**).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 4 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა I ჩიხი №3; თევდორე მღვდლის ქუჩა №17-ში მდებარე ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.13.07.021.017, 01.13.07.021.026, 01.13.07.021.019, 01.13.07.021.015, 01.13.07.021.014, 01.13.07.021.044, 01.13.07.021.030; საერთო ფართობი: 4 590 კვ.მ.) ზოგადი საცხოვრებელი ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№011812525-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №011812525-67 განაცხადით, ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა I ჩიხი №3; თევდორე მღვდლის ქუჩა №17-ში მდებარე ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №№01.13.07.021.017, 01.13.07.021.026, 01.13.07.021.019,

01.13.07.021.015, 01.13.07.021.014, 01.13.07.021.044, 01.13.07.021.030; საერთო ფართობი: 4 5 90 კვ.მ.) მოთხოვნილია ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №398 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით.

ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ დამატებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტის დანართის - ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პირველ პუნქტში (№011812525-67) არსებული ფუნქციური ზონის კონტურისა და კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტურის მითითებისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რაც საჭიროებს გასწორებას და ნაცვლად:

„საცხოვრებელი ზონა (სზ) – (სსზ-2) (კორექტირებული ზონა 4590 კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა (სზ) – (ტზ-1) (კორექტირებული ზონა 57 კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – (სსზ-2) (კორექტირებული ზონა 21 კვ.მ.)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა - 2 (სსზ-2)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)“

არსებული და კორექტირებული ფუნქციური ზონები საჭიროებს შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას:

„საცხოვრებელი ზონა (სზ) – (სსზ-2) (კორექტირებული ზონა 4590 კვ.მ.)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)“.

მომხსენებლის ინფორმაცია ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პირველ პუნქტში (№011812525-67) არსებული ფუნქციური ზონის კონტურისა და კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტურის მითითებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზის თაობაზე კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის ერთმა წევრმა.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილის დასაწყისში, ფერდობი 1 ა (ნაკვეთი:**

09/011) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.009.011; ფართობი: 69 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01181662770-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181662770-67 განაცხადით,** ქალაქი თბილისში, რუსთავის გზატკეცილის დასაწყისში, ფერდობი 1ა-ში (ნაკვეთი: №09/011) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.009.011; ფართობი: 69 კვ.მ.) მიმდებარედ მოთხოვნილია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრასპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს; რეალურად არსებულ ზონებზე გადის გზის ქსელი. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ დამატებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის - ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტის (**№01181662770-67**) ჩანაწერში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა (ტექსტურ ნაწილში გამოტოვებულია სიტყვა „მიმდებარედ"), რაც საჭიროებს გასწორებას და ნაცვლად:

„2. ქალაქი თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, დასაწყისში ფერდობი 1ა (ნაკვეთი 09/011) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.09.009.011; ფართობი: 69 კვ.მ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

01181662770-67"

ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, დასაწყისში ფერდობი 1ა (ნაკვეთი 09/011) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.09.009.011; ფართობი: 69 კვ.მ) *მიმდებარედ* საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

01181662770-67"

მომხსენებლის ინფორმაცია ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტის (№01181662770-67) ჩანაწერიში დაშვებული ტექნიკური შეცდომის თაობაზე კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის ერთმა წევრმა.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №175-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.002.154, ფართობი: 1 859 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილების შესახებ (№10/01181903928-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№10/01181903928-67 განაცხადით** ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №175-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.002.154, ფართობი: 1 859 კვ.მ) ეკონიმიკის სამინისტროს სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე შპს „პრემიუმ რეზიდენსი“-ს მიერ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით; ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ტრამვაის გაჩერების ყოფილ მოედანს, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით არის უფუნქციო და ავტომობილებით დაკავებული.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის ერთმა წევრმა.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - **ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ქსნის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 07/021) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.19.007.021,**

ფართობი: 1 869კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (№ 10/01181903928-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№10/01181903928-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ქსნის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. №07/021) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.19.007.021, ფართობი: 1 869 კვ.მ) და მის მიმდებარედ ჯამში: 2021 კვ.მ. ფართობზე ეკონომიკის სამინისტროს სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე შპს „პრემიუმ რეზიდენსი"-ს მიერ მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1); ქერჩის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი მდებარეობს ყოფილ სამრეწველო ტერიტორიაზე, რომელზეც მიმდინარე გენერალური გეგმის პროექტით გათვალისწინებულია სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ დამატებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის - ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტის **(№10/01181903928-67)** ნუმერაციისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და საჭიროებს გასწორებას (ნაცვლად 3, უნდა იყოს 4) ასევე, ამავე წინადადების ჩანაწერში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა (ტექსტურ ნაწილში გამოტოვებულია კორექტირებული ზონის ჯამური ფართობი: 2021 კვ.მ.), რაც საჭიროებს გასწორებას და ნაცვლად:

„3. ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ქსნის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 07/021) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.19.007.021, ფართობი: 1 869 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1);

10/01181903928-67"

ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„*4.* ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ქსნის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 07/021) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.19.007.021, ფართობი: 1 869 კვ.მ) *ჯამში 2021 კვ.მ* სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1);

10/01181903928-67"

მომხსენებლის ინფორმაცია ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტის (№10/01181903928-67) ნუმერაციისას, ასევე, ამავე წინადადების ჩანაწერში დაშვებული ტექნიკური შეცდომების თაობაზე

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის ერთმა წევრმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 26 ივლისის №12-0318207109-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადების - **№011812525-67; №01181662770-67; №10/01181903928-67; №10/01181903928-67**) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე